ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ტურიზმის სტრატეგიის განვითარების უზრუნველსაყოფად არასამტავრობო ორგანიზაცია „ტურიზმი და რეალობა“-თან ერთად განახორციელა პროექტი „ჩოხატაურის რაიონის ტურისტული კვლევა და მონაცემთა ბაზის შექმნა“, რომლის მიზანი გახლდათ ადგილზე პოტენციური ტურუსტული რესურსის აღწერა, ახალი და მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნა და პოპულარიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობის იმ სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების დასაქმება და ჩართვა ტურისტულ ბიზნესში, რომლებსაც არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა გააჩნდათ შრომის ბაზარზე. პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯდობესდა რაიონის სოციალურ-ეკონომიკური პირობები. (პროექტი შეადგენს 10 000 ლარს, განხორციელებისთვის მერიამ გაწია დახმარება თანადაფინანსების სახით, რომელიც შეადგენდა 4 000 ლარს (ოთხიათასი ლარი).

პროექტი პირველ ეტაპზე იმ საინტერესო აქტივობებს მოიცავდა, რომლითაც შესაძლებელი გახდა 62 სოფლის ტურისტული რესურსის საყოველთაო აღწერა, მოკვლეული მასალის დამუშავება, მონაცემთა ბაზის შექმნა, ახალი ტურისტული მარშუტების აღმოჩენა და ტურისტული სააგენტოებისათვის შეთავაზება. განვიტარდა ტურიზმის სხვადასხვა სახეობა, ხელი შეეწყო ტრადიციული ნაწარმისა და სუვენირების წარმოება-გასაღებას, გადამზადდა ინგლისურენოვანი გიდები, მოეწყო გამოფენები, დაიგეგმა შემეცნებით-გასართობი ტურები. (ბაზიერობის ტური - 23 ნოემბერი და 19 აგვისტოს ფერისცვალების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე-შემეცნებითი ტური).

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ვებგვერდი, მომზადდა ფოტო და ვიდეო ინფორმაცია, დაიბეჭდა ფლაერები, გზამკვლევი, ბროშურები და გამოიცა ორენოვანი (ინგლისურ-ქართული) წიგნი სახელწოდებით „ჩოხატაურის ტურისტული პოტენციალი“.

ზემოთ აღნიშნულმა პროექტმა თავისი პრაქტიკულობით მიიღო შემდეგი ნომინაციები და საერთაშორისო აღიარება:

- ნომინაცია - საუკეთესო მარკეტინგული დესტინაცია (ობიექტები)

- ნომინაცია - ადგილობრივი თვითმმართველობის საუკეთესო პრაქტიკისთვის

- კონფერენცია ატენში, ჟურნალი „ბიზნესი და ეკონომიკა, კულტურული ტურიზმი ციფრულ სამყაროში“ 2014 წელს გამოქვეყნებული სტატია „ჩოხატაურის ტურისტული პოტენციალი“ ატვირთულია ვებ-გვერდზე.

- Travel in Georgia-ს ვებ-გვერდზე ატვირთულია სამედიცინო ტურიზმის მიმართულებით ტურები (ბახმარო, ნაბეღლავი, ზოტი-სანისლია).

- კულტურული მემკვიდრეობის ტური

- სამუზეუმო ტური

პროექტისათვის მოპოვებული მასალები განთავსებულია შემდეგ საიტებზე, სადაც შესაძლებელი დეტალურად მიიღოთ ფოტო და ვიდეო ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული ღირშესანიშნაობების შესახებ:

- Chokhatauri.ge
- Tourizmreality.ge
- Travelgis.ge
- Travel in Georgia.ge
- ტურისტული სააგენტო “Saba”
- ჟურნალი სახელწოდებით Digital Era რომელიც გამოდის ათენში

ასევე განხორციელდა 3 წლიანი ევროკავშირის საგრანტო პროექტი - „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“, რომელიც მიზნად ისახავდა გურიის რეგიონების კერძოდ: ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილების პოპულარიზაციას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მოლაშქრეთა კლუბი „ნაბიჯი“ რომლისთვისაც ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან შეძენილ იქნა მოლაშქრეთა აღჭურვილობის სრული პაკეტი 6 ადამაინზე.(კლუბის წევრები იკვლევენ ველური, ექსტრემალური და სათავგადასავლო ტურიზმის მარშუტებს).

მომავალში იგეგმება ტურიზმის საინფოერმაციო ცენტრის გახსნა.

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) შვეიცარისა და ავსტრიის მთავრობების ფინანსური ხელშეწყობით, ახორციელებს პროეტებს „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ფაზა 2 რომლის მიზანია კურორტ ბახმაროს კერძო სექტორის შესაძლებლობებისა და ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა.

ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით მერიის განათლების კულტურის და სპორტის სამსახურის სპეციალისტები მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგებში სადაც პოპულარიზაცია ხდება მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პერსპექტივების თაობაზე.

საერთაშორისო საგამოფენო სივრცეებში და ბაზრობებში მონაწილეობისთვის მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საგამოფენო ინვენტარი (სხვადასხვა სახის), რომელიც გამოყენებული იქნება მრავალჯერადად.

დესტინაციის პოპულარიზაციის მიზნით და ვიზიტორთა მიერ რაოდენობის უზრუნველყოფისთვის შესაქმნელია ტურისტული სააგენტო, რომელიც ითანამშრომლებს ადგილობრივ ტუროპერატებთან პაკეტის შესაქმნელად, რაც ჩვენს პროდუქტს უფრო მიმზიდველს გახდის. თანამშრომლობის სქემის არსებობის პირობებში მეტი ვიზიტორი გამოხატავს სურვილს ესტუმროს დანიშნულების ადგილს, დარჩეს ხანგრძლივად და დახარჯოს მეტი ფული. სხვა ოპერატორებთან თანამშრომლობით კი შესაძლებელია (ღვინის მარნები, რესტორნები, ღირშესანიშნაობები) არაჩვეულებრივ განთავსების და ღვინის პროფილის დასვენების შეთავაზება ტურისტებისათვის. პაკეტის სახით მიეწოდება გააფართოებს ვიზიტის გამოცდილების ღირებულებას. აღნიშნული გულისხმობს შემოსავლის დიდი ნაწილის მუნიციპალიტეტებში დარჩენას.